ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი № 1

„--4---“ „--დეკემბერი--“ 2017 წელი

ერთი მხრივ სსიპ შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი (შემდგომში „სასწავლო უნივერსიტეტი“), რომელსაც წინამდებარე მემორანდუმის მიზნებისათვის წარმოადგენს რექტორი **თეონა ხუფენია** და მეორე მხრივ შ.პ.ს. გაზეთ „ზუგდიდის რედაქცია“ (შემდგომში გაზეთ „ზუგდიდის რედაქცია“) რომელსაც წარმოადგენს დირექტორი – **ნანი მოსიძე** საქართველოს კანონმდებლობისა და მხარეების სადამფუძნებლო დოკუმენტებით მინიჭებული უფლებამოსილების საფუძველზე, ვდებთ წინამდებარე მემორანდუმს ურთიერთთანამშრომლობის შესახებ.

მუხლი 1

მემორანდუმის საგანი

1.1. მემორანდუმის საგანს წარმოადგენს სასწავლო უნივერსიტეტსა და შ.პ.ს. გაზეთ „ზუგდიდის რედაქცია“ -ს შორის ურთიერთთანამშრომლური ურთიერთობების დამყარება, რომელიც მიზნად ისახავს სასწავლო უნივერსიტეტის პროფესიული სტუდენტებისა და დამსაქმებლის საჭიროებაზე ორიენტირებული განათლების განხორციელებას **„ბეჭდური და ონალოინ გამოცემების რეპორტიორის“** პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მოდულების შედეგებით გათვალისწინებული პრაქტიკული/დარგობრივი კომპონენტებისა და სტუდენტთა პრაქტიკის გავლის მიზნით.

მუხლი 2

მხარეთა უფლება–მოვალეობანი

2.1. ამ მემორანდუმით დასახული მიზნების მისაღწევად გაზეთ „ზუგდიდის რედაქცია“ იღებს ვალდებულებას სასწავლო უნივერსიტეტის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განსახორციელებლად უზრუნველყოს ხელმისაწვდომი მატერიალურ – ტექნიკური ბაზა, აღჭურვილობა (მათ შორის ფოტოსამონტაჟო პროგრამა) მასალა-ნედლეული და პროფესიული სტუდენტებისათვის საგანგებოდ გამოყოს პრაქტიკის ხელმძღვანელი.

2.2. პრაქტიკის განმავლობაში სასწავლო უნივერსიტეტის პროფესიული სტუდენტები შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული პრაქტიკის გეგმის მოთხოვნების გათვალისწინებით გაივლიან პრაქტიკას, რეალურ სამუშაო პირობებში მიიღებენ პროგრამით განსაზღვრული შედეგების შესაბამის პრაქტიკულ უნარ–ჩვევებს და კომპეტენციებს.

2.3. მემორანდუმით დასახული მიზნების რეალიზაციისათვის გაზეთ „ზუგდიდის რედაქცია“ იღებს ვალდებულებას, უზრუნველყოს სასწავლო უნივერსიტეტის პროფესიული სტუდენტები ადეკვატური და უსაფრთხო სასწავლო გარემოთი, მოახდინოს მათ მიერ პრაქტიკის გავლის მონიტორინგი და შეაფასოს თითოეული სტუდენტის მიერ პრაქტიკის გავლა სასწავლო უნივერსიტეტის მიერ დადგენილი წესით.

2.4. პრაქტიკის პროცესის წარმართვა ხორციელდება შესაბამისი დარგის სპეციალისტების მიერ.

მუხლი. 3.
სასწავლო ბაზის გამოყენების საფასური

3.1 წინამდებარე მემორანდუმით გათვალისწინებული ბაზით სარგებლობისათვის ღირებულება და გადახდის ფორმა მხარეთა შეთანხმებით განისაზღვრება ხელშეკრულებით ინდივიდუალური მოლაპარაკების საფუძველზე, სადაც გათვალისწინებული იქნება ორივე მხარის ინტერესები.

3.2 სასწავლო პროცესის წარმმართველი სპეციალისტების შრომის ანაზღაურებას უზრუნველყოფს სასწავლო უნივერსიტეტი

მუხლი .4.
მემორანდუმის მოქმედების ვადა

4.1. მემორანდუმი ძალაში შედის ხელმოწერის დღიდან და ძალაშია 5 (ხუთი) წლის განმავლობაში.

მუხლი .5.
სხვა პირობები

მემორანდუმი შედგენილია ორი თანაბარი ძალის მქონე ეგზემპლარად.

5.1. მემორანდუმით გათვალისწინებული პრაქტიკული კურსის გასავლელად სასწავლო უნივერსიტეტიდან გაგზავნილი სტუდენტების ოდენობა და პრაქტიკის ვადები განისაზღვრება სასწავლო უნივერსიტეტის სასწავლო პროგრამების შესაბამისად, მხარეთა ურთიერთშეთანხმების საფუძველზე ყოველწლიურად განახლებადი ხელშეკრულებით.

5.2. ნებისმიერი ის საკითხი, რომელიც არ არის რეგულირებული წინამდებარე მემორანდუმით , შესაძლებელია გადაწყდეს მხარეთა მოლაპარაკების გზით.

სსიპ შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის
რექტორი
თეონა ხუფენია _____

შპს გაზეთ ზუგდიდის რედაქცია
მთავარი რედაქტორი
ნანი მოსიძე _____